

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №605

2015 წლის 2 დეკემბერი

ქ. თბილისი

რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურები“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს პროცედურები შემუშავებულია სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული რისკის ანალიზის ფარგლებში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.
2. რისკის ანალიზი წარმოადგენს სამ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს: რისკის შეფასებას, რისკის მართვასა და რისკის კომუნიკაციას.
3. რისკის ანალიზი ხორციელდება თანმიმდევრულად რისკის ანალიზის სამივე კომპონენტის გამჭვირვალობის პრინციპის გათვალისწინებით, რისკის ანალიზი უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე, სრულად და სისტემატურად დოკუმენტირებული, რომელიც საჭიროებს განახლებული სამეცნიერო მონაცემების გათვალისწინებით შეფასებასა და გადახედვას. დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარისათვის (რისკის შემფასებელი, რისკის მმართველი, მომხმარებელი, ბიზნესოპერატორი, სამეცნიერო/აკადემიური საზოგადოება და სხვა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. რისკის ანალიზისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ყველა დაინტერესებულ მხარესთან ეფექტიანი კომუნიკაცია და კონსულტაცია.
5. რისკის ანალიზის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო დოკუმენტები და ინფორმაცია, რომელიც შემუშავებულია Codex Alimentarius, FAO, WHO, OIE, EPPO და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.
6. სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად რისკის ანალიზთან დაკავშირებული ღონისძიებებია:
 - ა) შესაძლო საფრთხესთან დაკავშირებით შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისათვის და სხვა დაინტერესებულ მხარეთათვის სამეცნიერო დასკვნის საჭიროებისამებრ წარდგენა;
 - ბ) რისკის შეფასებისა და სახელმწიფო კონტროლის მეთოდოლოგიის შემუშავების ხელშეწყობა და კოორდინირება;
 - გ) სამეცნიერო და ტექნიკური მონაცემების საჭიროებისამებრ მოკვლევა, შეგროვება, აღრიცხვა და ანალიზი;



დ) ახალი საფრთხეების საჭიროებისამებრ იდენტიფიცირება და აღწერა;

ე) დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობის ხელშეწყობა;

ვ) მეცნიერული და საექსპერტო დახმარება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საგანგებო ზომების მიღებისას;

ზ) რისკის ანალიზთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები.

7. გადაწყვეტილება რისკის მართვის განხორციელების შესახებ უნდა ეფუძნებოდეს სურსათის უვნებლობის კონტროლის ადეკვატურ სისტემას/ პროგრამას.

8. ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სურსათით გამოწვეული რისკის მართვისთვის გამოყენებული უნდა იქნეს რისკის ანალიზის სამივე კომპონენტი.

9. რისკის ანალიზი წარმართება რისკის შეფასებასთან დაკავშირებული პრინციპების შესაბამისად, განახლებული მეცნიერული მონაცემების, საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების, ასევე სხვა ფაქტორების გათვალისწინების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებით.

10. ადამიანის ჯანმრთელობისათვის რისკის არსებობისას, როდესაც არასაკმარისი და არასრულია მეცნიერული მონაცემები, რისკის ანალიზისათვის საჭიროა ეგრეთწოდებული „პრაქტიკაში არსებული მონაცემების“ სათანადო მეცნიერული დასაბუთების გონივრული გამოყენება.

11. აკრძალულია რისკის ანალიზის შედეგად მოპოვებული სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება მწარმოებლის/ დისტრიბუტორის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ დადგენილებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საფრთხე – სურსათში, ცხოველურ და მცენარეულ პროდუქტებში ისეთი ბიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური აგენტის არსებობა ან სურსათის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების ისეთი მდგომარეობა, რომელმაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს;

ბ) რისკი – საფრთხიდან გამომდინარე, ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების გამოვლენის ალბათობა და სიმძიმე;

გ) რისკის შეფასება – რისკის ანალიზის ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც ეფუძნება მეცნიერულად დასაბუთებულ მონაცემებს და მოიცავს ოთხ საფეხურს: საფრთხის იდენტიფიცირებას, საფრთხის აღწერა-დახასიათებას, საფრთხის შეფასებასა და რისკის დახასიათებას;

დ) რისკის მართვა – რისკის შეფასებისაგან განსხვავებული პროცესი, რომლის მიზანია, რისკის შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, სათანადო ალტერნატივის შერჩევის საშუალებით რისკის პრევენციისა და კონტროლის შესაბამისი ზომების შერჩევა;

ე) რისკის კომუნიკაცია – რისკის ანალიზის პროცესში საფრთხის, რისკის, რისკის შეფასების შედეგებისა და რისკის მართვის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ მიუკერძოებელი ინფორმაციისა და დასკვნების დროული და შეუფერხებელი გაცვლა რისკის შემფასებლებს, რისკის მართვაზე პასუხისმგებელ პირებს, მომხმარებლებსა და ბიზნესოპერატორებს შორის;

ვ) რისკის გამოთვლა – რისკის რაოდენობრივი ან/და თვისობრივი განსაზღვრა;

ზ) საფრთხის იდენტიფიცირება – უპირატესად თვისობრივი პროცესია და გულისხმობს იმ ბიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური აგენტების იდენტიფიცირებას, რომლებსაც შეუძლიათ, ზიანი მიაყენონ ადამიანის ჯანმრთელობას;

თ) საფრთხის დახასიათება – სურსათში არსებული ქიმიური, ბიოლოგიური და ფიზიკური აგენტებით



ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების ხანგრძლივობისა და სიმძიმის რაოდენობრივი და თვისობრივი აღწერა;

ი) საფრთხის ზემოქმედების (ექსპოზიციის) შეფასება – სურსათის მიღებით ან სხვა წყაროებით, ორგანიზმში მოხვედრილი საფრთხის რაოდენობრივი ან/და თვისობრივი შეფასება;

კ) რისკის აღწერა-დახასიათება – საფრთხის იდენტიფიცირების, დახასიათებისა და ზეგავლენის შეფასების საფუძველზე მონაცემთა რაოდენობრივი ან/და ხარისხობრივი განსაზღვრა, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მავნე მოქმედებით მიღებული ცნობილი ან მოსალოდნელი შედეგების ჩათვლით;

ლ) დოზა-პასუხის შეფასება – ქიმიური, ბიოლოგიური და ფიზიკური აგენტების ექსპოზიციის მაგნიტუდისა (დოზა) და ჯანმრთელობისათვის მავნე ზეგავლენის სიმძიმესა ან/და სიხშირეს (პასუხი) შორის ურთიერთდამოკიდებულების შეფასება;

მ) რისკის რაოდენობრივი შეფასება – რისკის შეფასება, რომლის შედეგადაც მიიღება რისკის რიცხობრივი გამოსახულება;

ნ) რისკის თვისობრივი შეფასება – რისკის შეფასება, რომელიც არსებული ცოდნისა და თანმდევი განუსაზღვრელობის საფუძველზე იძლევა რისკის რანჟირების ან აღწერილობით კატეგორიებად დაყოფის საშუალებას;

ო) განუსაზღვრელობათა ანალიზი – მეთოდი, რომელიც გამოიყენება მოდელის მონაცემების, ცდომილებისა და სტრუქტურის/ფორმასთან დაკავშირებულ განუსაზღვრელობათა შეფასებისათვის;

პ) გამჭვირვალობა – პროცესის დახასიათება, როდესაც მიღებული შედეგები, განვითარების ლოგიკა, დაბრკოლება, დაშვება, ღირებულებათა შეფასება, გადაწყვეტილება, ხელის შემშლელი ფაქტორი და განუსაზღვრელობა სრულად და სისტემატურად ფიქსირდება, დოკუმენტურად ფორმდება და ხელმისაწვდომია განხილვისათვის;

ჟ) რისკის პროფილი – სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული პრობლემისა და მისი შინაარსის აღწერა;

რ) რისკის შეფასების პოლიტიკა – პროცესი, რომელიც მოიცავს კონკრეტული პოტენციური საფრთხის განხილვასთან დაკავშირებულ აუცილებელ დოკუმენტირებულ ინფორმაციას, მეცნიერულად დასაბუთებული შედეგებისა და მონაცემების გათვალისწინებით.

მუხლი 3. რისკის შეფასების პოლიტიკა

1. რისკის შეფასების პოლიტიკა დგინდება რისკის მმართველსა და ყველა დაინტერესებულ მხარესთან წინასწარ, რისკის შემფასებლებთან კონსულტაციის საფუძველზე, რომლის მიზანია სისტემატური, სრული, ობიექტური და გამჭვირვალე რისკის შეფასების უზრუნველყოფა.
2. რისკის შეფასების პოლიტიკა მოიცავს რისკის შემფასებლის მიერ რისკის მმართველისათვის ალტერნატიულ ღონისძიებებზე, მათ შორის, საფრთხეების მაჩვენებლების განსაზღვრაზე რეკომენდაციების მიწოდებას, რისკის მართვის გადაწყვეტილების მისაღებად.
3. რისკის მმართველის მიერ რისკის შემფასებლებისათვის დასახული ამოცანა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მკაფიო და გასაგები.
4. საჭიროებისამებრ, რისკის მმართველმა უნდა მიმართოს რისკის შემფასებელს, რომ შეაფასოს რისკის პოტენციური ცვლილებები, რომლებიც შესაძლოა, წარმოიქმნას რისკის მართვის გადაწყვეტილების ალტერნატივების განხორციელების შედეგად.

მუხლი 4. რისკის შეფასება

1. ყოველი რისკის შეფასება უნდა ემსახურობდეს წინასწარ განსაზღვრულ კონკრეტულ მიზანს.



2. რისკის შეფასება ხორციელდება დამოუკიდებლად, ობიექტურად და გამჭვირვალედ.
3. რისკის შეფასების პროცესში მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს შესაძლო ალტერნატივები და სამეცნიერო დასკვნა.
4. რისკის შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და არსებული თვისობრივი და რაოდენობრივი ინფორმაცია.
5. რისკის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სასურსათო ჯაჭვში გამოყენებული წარმოების, შენახვისა და გადამუშავების, მათ შორის, ტრადიციული წარმოების პრაქტიკა, გამოკვლევის მეთოდი, სახელმწიფო კონტროლის შედეგი, ჯანმრთელობაზე შესაძლო უარყოფითი მავნე ზეგავლენა და ნებისმიერი ხელის შემშლელი ფაქტორი, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს რისკის შეფასებაზე.
6. განუსაზღვრელობა, ხელის შემშლელი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს რისკის შეფასების თითოეულ ეტაპზე, უნდა დაფიქსირდეს დოკუმენტურად.
7. რისკის შეფასებისას განუსაზღვრელობა და ვარაუდი შეიძლება გამოსახული იყოს როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისობრივად.
8. რისკის შეფასება ასახული უნდა იყოს რისკის შეფასების ანგარიშში, სადაც მითითებული უნდა იქნეს ნებისმიერი ხელის შემშლელი ფაქტორი, განუსაზღვრელობა, ვარაუდი და მათი ზეგავლენა რისკის შეფასებაზე. ანგარიშში უნდა აისახოს რისკის შეფასებაში მონაწილის განსხვავებული აზრი/პოზიცია.
9. პასუხისმგებლობა რისკის მართვის გადაწყვეტილების განუსაზღვრელობის ზეგავლენის აღმოფხვრაზე ეკისრება რისკის მმართველს და არა რისკის შემფასებელს.
10. რისკის შეფასების ანგარიშში არსებული მონაცემები უნდა იყოს მაქსიმალურად ზუსტი და ამომწურავი.
11. რისკის შეფასებისას განხილული უნდა იქნეს არსებულ საფრთხესა და ადამიანს შორის ურთიერთქმედება (მოსალოდნელი ან სავარაუდო შედეგების ჩათვლით), აგრეთვე შემდგომი გართულების შესაძლებლობა, საფრთხით გამოწვეული პროცესის დინამიკა.
12. რისკის შეფასების ანგარიშში წარედგინება რისკის მმართველს.
13. რისკის დახასიათებისას აღწერილი უნდა იყოს მოცემული რისკის სავარაუდო უარყოფითი ეფექტისა და სიმძიმის რაოდენობრივი და თვისობრივი შეფასება, მათ შორის, იმ განუსაზღვრელობის აღწერა, რომლებიც ამ შეფასებებს უკავშირდება, რისკის თვისობრივი შეფასებისას, რისკი შესაძლოა აღწერილი იყოს კონცეპტუალური მოდელის სახით. რისკის რაოდენობრივი შეფასებისას, შესაძლოა ნაწილობრივ ან სრულად გამოყენებულ იქნეს ტოქსიკოლოგიურ-ჰიგიენური შეფასების, სკრინინგ-შეფასების, ანალიზური ეკოლოგიურ-ეპიდემიოლოგიური კვლევის, მეტა-ანალიზის და სხვა მეთოდები, ასევე სტატისტიკური და სხვა სარწმუნო მონაცემები. რისკის შედარებითი შეფასება ხორციელდება, თუ ადამიანის ჯანმრთელობის მიმართ არასასურველი შესაძლო ეფექტების შესახებ არსებობს მეცნიერთა კვლევითი მონაცემები, რომლებიც წინ უსწრებს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უფრო სიღრმისეული კვლევების განხორციელებას.
14. საფრთხის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საფრთხის დინამიურობა, საფრთხის სავარაუდო ზემოქმედების პროგნოზირება და/ან აღწერა, წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ცალკეული ეტაპების მიხედვით.
15. საფრთხის იდენტიფიცირება ხდება მონაცემთა შესაბამისი წყაროებიდან, მათ შორის, სამეცნიერო ლიტერატურიდან, სასურსათო ჯაჭვში მონაწილე ბიზნესოპერატორებისგან და სამთავრობო დაწესებულებებიდან, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემთა ბაზებიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. საფრთხის იდენტიფიცირებისათვის აუცილებელია, ზუსტად განისაზღვროს და დახასიათებულ იქნეს საფრთხე და მისი ზემოქმედების ობიექტები.
16. საფრთხის დახასიათებისას დოზა-პასუხის შეფასება ხორციელდება ქიმიური აგენტებისთვის, ხოლო ბიოლოგიური და ფიზიკური აგენტებისთვის – სათანადო სამეცნიერო მონაცემების არსებობის შემთხვევაში. საფრთხის დახასიათებისას გათვალისწინებული უნდა იყოს საფრთხის მოქმედების პირობები, გარემო პირობები, ადამიანის სქესი, ასაკი, სოციალური მდგომარეობა, შრომის პირობები, კვების თავისებურება, ორსულობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა.



მუხლი 5. რისკის შეფასების ორგანო

1. რისკის შეფასებას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (შემდგომში – ცენტრი).
2. ცენტრის დირექტორის მიერ იქმნება რისკის შეფასების მეცნიერთა საკონსულტაციო საბჭო (შემდგომში – საბჭო) და მტკიცდება რისკის შეფასების მეცნიერთა საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის წესი.
3. საბჭოს წევრი შეიძლება იყოს შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელიც არის ან არ არის დასაქმებული საჯარო სექტორში და რომელიც გადაწყვეტილების მიღებაში არის დამოუკიდებელი და ობიექტური.
4. საბჭოს წევრი, რომელიც ჩართულია რისკის შეფასების პროცესში, შერჩეული უნდა იქნეს გამჭვირვალედ, მისი გამოცდილების გათვალისწინებით.
5. საბჭოს წევრს არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი, რამაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს რისკის შეფასებაზე.
6. საბჭოს წევრთა პირადი მონაცემები, ინფორმაცია მათი სამეცნიერო და პროფესიული გამოცდილების შესახებ უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 6. რისკის მართვა

1. რისკის მართვის გადაწყვეტილების, მათ შორის, გატარებული ღონისძიებების უპირველესი მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა.
2. რისკის მართვის გადაწყვეტილების მიღებისას თავიდან უნდა იქნეს აცილებული სხვადასხვა შემთხვევაში ანალოგიურ რისკებთან მიმართებაში გაუმართლებელი განსხვავებული ღონისძიებების გატარება.
3. რისკის მართვის პროცესი უნდა წარიმართოს თანმიმდევრულად, რომელიც მოიცავს რისკის მართვის წინასწარ ღონისძიებებს (სურსათის უვნებლობის პრობლემის იდენტიფიცირება, რისკის პროფილის დადგენა, რისკის მართვის და რისკის შეფასების პრიორიტეტების განსაზღვრისათვის საფრთხის რანჟირება, რისკის შეფასების პოლიტიკის დადგენა რისკის შეფასებისათვის, რისკის შეფასებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, რისკის შეფასების შედეგების გათვალისწინება), რისკის მართვის ალტერნატივების შეფასებას, მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებას, მონიტორინგსა და გადახედვას.
4. რისკის მართვის ორგანო მიმართავს ცენტრს საფრთხის განხილვის დაწყების თაობაზე. განსახილველ მოთხოვნაში აღწერილი უნდა იყოს რისკის პროფილი.
5. რისკის მართვის გადაწყვეტილებები მიღებული უნდა იქნეს რისკის შეფასების საფუძველზე, იყოს რისკის პროპორციული და, საჭიროების შემთხვევებში, გათვალისწინებულ იქნეს სხვა სამართლებრივი ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასა და სურსათით ვაჭრობაში სამართლიანი პრაქტიკის ხელშეწყობასთან.
6. მოსალოდნელი შედეგის მისაღწევად, რისკების მართვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სასურსათო ჯაჭვში გამოყენებული, შესაბამისი წარმოების, შენახვისა და გადამუშავების, მათ შორის, ტრადიციული წარმოების პრაქტიკა, გამოკვლევის მეთოდები, ნიმუშის აღებისა და ინსპექტირების პროცედურები, ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის არსებობა.
7. რისკის მართვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ეკონომიკური შედეგები და რისკის მართვის ალტერნატივების განხორციელების შესაძლებლობა.
8. რისკის მართვის პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე, თანმიმდევრული და სრულად დოკუმენტირებული. გადაწყვეტილება რისკის მართვის შესახებ უნდა იყოს დოკუმენტირებული, რათა რისკების მართვის პროცესი



გახდეს ადვილად გასაგები ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

9. რისკის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას, რისკის შეფასებისა და რისკის მართვის წინასწარი ღონისძიებების შედეგები უნდა შეჯერდეს რისკის მართვის არსებულ ალტერნატივებთან.

10. რისკის მართვის ალტერნატივები უნდა შეფასდეს რისკის ანალიზის სფეროსა და მიზნის, ასევე ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მიღწეული ღონის მიხედვით. განხილული უნდა იქნეს ისეთი ალტერნატივებიც, რომლებიც არ ითვალისწინებს რაიმე ღონისძიების განხორციელებას.

11. რისკის მართვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს გამჭვირვალობა და თანმიმდევრულობა. რისკის მართვის ალტერნატივების განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი პოტენციური დადებითი და უარყოფითი მხარეები. რისკის მართვის ალტერნატივების შერჩევისას, რომლებიც თანაბარდებულობენ, მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის უნდა შეირჩეს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად ზღუდავს ვაჭრობას.

12. რისკის მართვა უნდა იყოს უწყვეტი პროცესი, რომელიც ითვალისწინებს ყველა განახლებულ მონაცემს რისკის მართვის გადაწყვეტილებების შეფასებისა და განხილვისას. რისკის მართვის გადაწყვეტილებების შედეგებზე, აღსრულებაზე, ზემოქმედებაზე, შესაბამისობასა და ეფექტიანობაზე რეგულარულად ხორციელდება მონიტორინგი, რისკის მართვის გადაწყვეტილებები ან/და მათი აღსრულება უნდა გადაიხედოს საჭიროებისამებრ.

მუხლი 7. რისკის მართვის ორგანოები

რისკის მართვას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

მუხლი 8. ცენტრისა და რისკის მართვის ორგანოების თანამშრომლობა

1. რისკის მართვის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, ცენტრი, საჭიროებისამებრ, აწვდის რისკის მართვის ორგანოებს რისკის შეფასების მეცნიერულ დასკვნებსა და ალტერნატივებს.

2. რისკის შეფასების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, რისკის მართვის ორგანოები ცენტრს, საჭიროებისამებრ, აწვდიან ინფორმაციას სურსათის, საქართველოს ტერიტორიასა და საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას სახელმწიფო კონტროლის – მონიტორინგისა და ინსპექტირების ფარგლებში განხორციელებული ლაბორატორიული კვლევის შედეგების შესახებ.

3. რისკის მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ სწრაფი განგაშის სისტემით მიღებული პოტენციური საფრთხის შესახებ მონაცემებით ცენტრის ინფორმირებას.

მუხლი 9. რისკის კომუნიკაცია

რისკის კომუნიკაციამ უნდა უზრუნველყოს:

ა) რისკის ანალიზის პროცესის სპეციფიკურ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება და ამ საკითხების ადვილად აღქმა;

ბ) რისკის მართვის ალტერნატივების/რეკომენდაციების ფორმულირებისას თანმიმდევრულობა და გამჭვირვალობა;

გ) მყარი საფუძველი, რათა შეთავაზებული რისკის მართვის გადაწყვეტილებები იყოს ადვილად გასაგები;

დ) რისკის ანალიზის საერთო ეფექტურობისა და ქმედითობის გაუმჯობესება;



ე) რისკის ანალიზის მონაწილეებს შორის თანამშრომლობის გამყარება;

ვ) რისკის ანალიზის პროცესის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხელშეწყობა ისე, რომ ამაღლდეს სასურსათო ჯაჭვის უვნებლობასთან დაკავშირებით მომხმარებელთა ნდობა;

ზ) რისკის ანალიზის პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის სათანადო ჩართვა და სურსათთან დაკავშირებული რისკების საკითხებზე ინფორმაციის ურთიერთგაცვლა;

თ) შესაბამის შემთხვევებში კონფიდენციალურობის დაცვა.

